

## რა არის სამოქალაქო რეესტრი?

აღბათ თქვენთვის დღესაც არ არის ცნობილი, თუ რა სახელწოდება და იურიდიული სტატუსი აქვთ ე.წ. მმჩის ბიუროებსა და საპასპორტო მაგიდებს, ვის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ისინი და საქართველოში მიმდინარე რეფორმების პარალელურად რა დადებითი ნაბიჯები გადაიდგა ამ კუთხით. სამოქალაქო აქტების ანუ დაბადების, ქორწინება-განქორწინების, გარდაცვალების და ა.შ. რეგისტრაციის და ასევე პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის საკითხებზე მომუშავე ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო სიახლეები განხორციელდა, რამაც უნდა შეცვალოს მოქალაქეების ურთიერთობის წესები ამ სტრუქტურებთან, ხელი შეუწყოს ბიუროკრატიისა და კორუფციის აღმოფხვრასა და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფოს ეფექტური მომსახურება ამ სფეროში.

2004 წლის 15 ნოემბრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შვიდი სახის სახელმწიფო რეესტრი: სამოქალაქო რეესტრი, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების), ლიცენზიებისა და ნებართვების, მაკონტროლებელ ორგანოთა, ნორმატიული აქტებისა და საჯარო რეესტრი.

სახელმწიფო რეესტრის ჩამოყალიბების მიზანია სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციის ერთი უწყების ადმინისტრირების სფეროში მოქცევა. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს **სამოქალაქო რეესტრი**, რომელიც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, თავს მოუყრის სწორედ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას. სწორედ სამოქალაქო რეესტრის ჩამოყალიბებისათვის გახდა აუცილებელი, რომ ეს ორი სფერო გაერთიანებულიყო.

დღესდღეობით არათუ მმჩის ბიუროები ან საპასპორტო მაგიდები, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურები და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებიც (სარო – ე.წ. „მმჩის“ ბიუროები) კი არ არსებობენ. სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები**, რომლებიც აერთიანებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურებსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს, აწარმოებენ სამოქალაქო რეესტრს და შესაბამისად ახორციელებენ: საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ადამიანების რეგისტრაციას, პირადობის დადასტურებასა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას (დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და ა.შ. აქტების რეგისტრაციას).

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების მიერ პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემა ხდება იქ, სადაც განლაგებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-

სავიზო სამსახურები, ე.წ. საპასპორტო მაგიდები. ადგილმდებარეობა არ შეუცვლია, აგრეთვე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებსაც.

სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად გამარტივდა მიმართვის პროცედურები ზემოთ მითითებულ მარეგისტრირებელ ორგანოებში, შემცირდა და, რიგ შემთხვევაში, გაუქმდა კიდევ ამა თუ იმ მომსახურებისათვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი.

შევეცდებით, მოკლედ დავახასიათოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოებისთვის მიმართვის და სათანადო დოკუმენტების მიღების პროცედურა და განვიმარტოთ ამ მოქმედებებთან დაკავშირებული ხარჯები და ვადები.

## **საქართველოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხოელთა პირადობის დადასტურება და რეგისტრაცია**

- **პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაცემა**

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო ბინადრობის მოწმობა კი საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. აღნიშნული დოკუმენტების გაცემას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები (წარსულში ე.წ. საპასპორტო მაგიდები).

**პირადობის მოწმობის** მისაღებად ან შესაცვლელად პირი ვალდებულია, მითითებულ ორგანოში წარადგინოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ორი ფოტოსურათი, ხოლო, თუ წარდგენილი დოკუმენტი არ ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას – აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი.

**ბინადრობის მოწმობის** მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი საბუთი, ორი ფოტოსურათი და საქართველოში კანონიერად ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი.

**საქართველოს მოქალაქის პასპორტი** არის საქართველოს მოქალაქის პირადობისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეზე, რომელმაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება – ანკეტა (ანკეტა გაიცემა მარეგისტრირებელ ორგანოში)
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- გ) 3 ფოტოსურათი.

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო პირადობის მოწმობას, ბინადრობის მოწმობას და საქართველოს მოქალაქის პასპორტს გასცემს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემისთვის ან შეცვლისთვის დაწესებულია სახელმწიფო ბაჟი ერთი ლარისა და ორმოცდაათი თეთრის ოდენობით, ბინადრობის მოწმობის გაცემისათვის – 15 ლარი, ხოლო საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის – 35 ლარი.

- **საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაცია**

რეგისტრაციის მიზანია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. რეგისტრაცია არის პირის ვალდებულება, მის მიერვე არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე დაფიქსირდეს, როგორც მუდმივად მაცხოვრებელი. საქართველოში რეგისტრაციის ინსტიტუტი უკვე მიბმულია პირადობის დადასტურებასთან და პირადობისა და რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა ერთი დოკუმენტის სახით.

საქართველოში მცხოვრებ პირთა (საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები) რეგისტრაციასა და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები.

რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;
- გ) საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის (აქ ძირითადად იგულისხმება არაპრივატიზებული ბინები) დამქირავებლის წერილობით თანხმობას – საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე. საქართველოში მცხოვრები პირი საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას ვალდებულია, 10 დღეში აცნობოს ეს ფაქტი იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც 5 დღეში გაატარებს მას რეგისტრაციაში.

პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, მისამართის მითითების გარეშე გაივლის რეგისტრაციას იმ ადგილის მიხედვით, სადაც იმყოფება. ასეთი პირი ვალდებულია, 6 თვეში ერთხელ გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ იმ ტერიტორიულ ორგანოში, სადაც რეგისტრირებულია.

რეგისტრაციისათვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი შეადგენს ერთ ლარს. ვინაიდან რეგისტრაცია და პირადობის მოწმობის გაცემა დღესდღეობით ერთობლივად ხორციელდება და გაიცემა ერთი დოკუმენტი, შესაბამისად რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 2. 50 ლარს.

# სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია

## • დაბადების რეგისტრაცია

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად საქართველოში დაბადების რეგისტრაციას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები. დაბადების რეგისტრაციას აღნიშნული ორგანო ახდენს განცხადებისა და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. ბავშვის დაბადების განცხადების ვალდებულება ეკისრებათ:

- ა) მშობელს (მშობლებს);
- ბ) პირს, რომლისთვისაც მშობლებს წერილობით მინდობილი აქვთ ბავშვის დაბადების განცხადება;
- გ) სახელმწიფო ან კერძო სამშობიაროს, სხვა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს – თუ ბავშვი ამ სამედიცინო დაწესებულებაში დაიბადა ან იმყოფება;
- დ) მშობიარობის დამსწრე პირს – თუ ბავშვი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების გარეთ დაიბადა და მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვის დაბადების განცხადება;
- ე) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს – თუ ბავშვი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაიბადა;
- ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს, თუ ზემოთ მითითებულმა პირებმა არ განაცხადეს ბავშვის დაბადების თაობაზე და ეს ცნობილი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსათვის.

კანონმდებლობის მიხედვით, დაბადების რეგისტრაციის საფუძველია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე და ზემოთ მითითებული ერთ-ერთი პირის განცხადება.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, თუ **მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან**, დაბადების რეგისტრაციისათვის განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა;
- ბ) მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილება;
- დ) მშობლების ერთობლივი წერილობითი განცხადება.

იმ შემთხვევაში, თუ **მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან**, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- ბ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილება;

გ) მშობლების ერთობლივი წერილობითი განცხადება ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მამის განცხადება და სასამართლო გადაწყვეტილება მამობის დადგენის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, როცა დედა დაქორწინებულია, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) დედის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

ბ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე;

გ) დედის წერილობითი განცხადება.

რეფორმის შედეგად, ზემოთ მითითებულმა ორგანოებმა სათანადო დოკუმენტების წარდგენისთანავე უნდა მოახდინონ დაბადების რეგისტრაცია დაუყოვნებლივ და ყოველგვარი საზღაურის გარეშე.

## ქორწინების და განქორწინების რეგისტრაცია

ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები.

**ქორწინების რეგისტრაციისათვის საჭიროა:**

ა) დაქორწინების მსურველ პირთა განცხადება;

ბ) პირადობის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

გ) წინა ქორწინების მოშლის დამადასტურებელი საბუთი (მანამდე დაქორწინებული პირისთვის).

ქორწინების რეგისტრაციისა და ქორწინების მოშობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟი ცხრა (9) ლარის ოდენობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები განქორწინების რეგისტრაციას ახორციელებენ მეუღლეთა ერთობლივი განცხადების, ერთ-ერთი მეუღლის განცხადების ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინების საფუძველია იმ მეუღლეთა ერთობლივი განცხადება, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და ერთ-ერთ მეუღლეს არ შეუძლია სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში მოსვლა, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში და მისი ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

ამ საფუძველით განქორწინების რეგისტრაციისას სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 30 ლარს.

2. განქორწინება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე:

ა) სასამართლოს მიერ ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად (ამ შემთხვევაში განქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი);

ბ) სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუწაროდ ფსიქიკური დაავადების ან ჭკუასუსტობის გამო (განქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება მეორე მეუღლის ქმედუწაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი);

გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა (თავისუფლების აღკვეთის მისჯის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლი).

ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციისას გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი შეადგენს ორ (2) ლარს.

3. განქორწინების რეგისტრაციის მესამე საფუძველი არის სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილებითვე განსაზღვრავს განქორწინებისთვის სახელმწიფო ბაჟის (რომელიც ამ შემთხვევაში შეადგენს 50 ლარს) გადახდის წესს (ერთ-ერთი მეუღლე გადაიხდის, თუ ორივე – განსაზღვრული წილობრივი მონაწილეობით).

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოდგენისთანავე.

### მამობის დადგენის რეგისტრაცია

მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება სამი საფუძველით: ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით, ბავშვის მამის განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით, თუ ერთ-ერთ მშობელს არ შეუძლია სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში მოსვლა, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში და მისი ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

თუ მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება ბავშვის მამის განცხადების საფუძველზე დედის გარდაცვალების, ქმედუწაროდ ცნობის, ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის, აგრეთვე, მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, ბავშვის მამამ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: ბავშვის დედის გარდაცვალების მოწმობა ან ბავშვის დედის ქმედუწაროდ ცნობის, დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი ან დედის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი საბუთი.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ბავშვის მამის შესახებ მონაცემები აღინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებისა და წარმოდგენილი საბუთების მიხედვით.

მამობის დადგენის რეგისტრაცია და მამობის დადგენის მოწმობის გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უფასოა.

## სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, შეიცვალონ სახელი, მამის სახელი ან გვარი. არასრულწლოვან მოქალაქეთა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა შესაძლებელია მათი მშობლების ან იმ მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აგრეთვე, მშობლების მონაცვლე პირთა თანხმობით.

ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის შესაძლო საფუძვლებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია იმისათვის, რათა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა ორგანომ მოახდინოს სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლა.

სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ სახელი, მამის სახელი, გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკნინებელია;
- ბ) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი – და არ განხორციელდა ქორწინების რეგისტრაციისას;
- გ) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს თავისი ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;
- დ) თუ განმცხადებელს სურს, დაიბრუნოს თავისი ქორწინებამდელი გვარი და ეს არ განხორციელდა განქორწინების რეგისტრაციისას;
- ე) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის (მაგ: დედა, მამა, ბებია, ბაბუა და ა.შ) გვარი.

**რა დოკუმენტები უნდა იქნეს წარდგენილი სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლისათვის?**

სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლის რეგისტრაციისათვის აუცილებელია მოქალაქის განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი – თუ განმცხადებელი სრულწლოვანია;
  - ბ) განმცხადებლის დაბადების მოწმობა (მოწმობის ასლი);
  - გ) განმცხადებლის ქორწინების მოწმობა (მოწმობის ასლი) – თუ განმცხადებელი დაქორწინებულია;
  - დ) განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (მოწმობების ასლები) – თუ განმცხადებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები;
  - ე) მშობლის (მშობლების) მონაცვლე პირთა წერილობითი თანხმობა განმცხადებლის მიერ სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე;
  - ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს ნებართვა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე, ცნობა ნასამართლობის შესახებ.
- ფაქტობრივი აღმზრდელის ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარზე გადასვლის შემთხვევაში განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის განცხადებას ამოწმებს და მასზე ერთი თვის ვადაში დასკვნას ამზადებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო, რომელიც დასკვნას

დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში. სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლისას უნდა გაიცეს საქართველოს მოქალაქის პირადობის ახალი მოწმობა. სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დაწესებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ოცდაათ ლარს.

## გარდაცვალების რეგისტრაცია

გარდაცვალების რეგისტრაციის საფუძველია – გარდაცვალების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი; გარდაცვალების ფაქტის დადგენის, მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება; სასჯელის მომხდელი პირის გარდაცვალების შესახებ სასჯელის აღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უწყება; არასასამართლო (შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროები) და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებით, რეპრესირებულ პირთა გარდაცვალების შესახებ ცნობა.

გარდაცვალების რეგისტრაციისათვის განმცხადებელმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- გ) გარდაცვალების დამადასტურებელი საბუთი (სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან ზემოთ მითითებულ საბუთთაგან ერთ-ერთი);
- დ) წერილობითი განცხადება.

საქართველოს კანონმდებლობით გარდაცვალების რეგისტრაცია უფასოა.

\* \* \*

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამოქალაქო რეესტრის რეფორმა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. იგეგმება სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების ერთიან ქსელში ჩართვა, მონაცემების ელექტრონიზაცია და უფრო ეფექტური ადმინისტრირების დანერგვა, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება პროცედურების გამარტივება და მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება.